№ 169. 12 აგვისტო, სამშაბათი. 1866—1880 12 აგვისტო, სამშაბათი. № 169.

**რედაქცია**

... მეიდანზე, ... ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ... სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების" „ივერიის" რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба"-„Иверія"

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ... ... სტრიქონზე ნახევარი კაპ. ... ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება" და „ივერია" ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 9 აგვისტოს. სტამბოლიდამ სწერენ „გოლოსს:" ამბობენ უოფილი რუსის პოლკოვნიკი ლეიბ-გვარდიის გუსარის პოლკისა დაღესტნელი მეჰმედ-ფაშა რუმელიაში დანიშნებათ მილიციის უფროსად, შტრეკერის მაგიერ. სომხის პატრიარქმა ნერსესმა ამ დღეებში ბუიუკდერეში პარაკლისი გადაიხადა ღვთისადმი გარდაცვლილის იმპერატრიცის სახსენებლად საყდარი, ეზო და ქუჩები ხალხით იყო გატენილი; დაესწრო ნავიკოვი ცოლით და სრულის ელჩობით. ელჩის მადლობაზე ნერსესმა უპასუხა: განგება ამაზედ უკეთესად ვერ დააჯილდოვებს სომხეთის ხალხს როგორც ეხლა, როცა მან ლორის-მელიქოვი დააყენა მეთაურად სომხებისა, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს რუსეთის მეფის სამსახურს სწირვენ.

პეტერბურღი 10 აგვისტოს. დღეს ელჩებმა წენგმა და იანახოვარმა ცარსკოე-სელოში იმპერატორი ინახულეს. თექეში მყოფი რუსის ელჩი გირს აცნობებს: დაუსრულებელი საქმეები აქ რაგიანად გადაწყდნენ. ჩუნხოუ წენგის წინადადებით საპყრობილედამ გამოუშვეს.

## ბათომის მაზრის მოხელეთ მოპყრობა მცხოვრებლებთან

ტფილისი, 11 აგვისტოს.

დღეს ჩვენ ისევ დაუბრუნდებით ბათომის გუბერნატორის განცხადებას. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ადგილს განცხადებისას, რომელიც მოხსენებულია 11 მუხლში:

„ბათომის მაზრის უფროსი მისწერს ყველა ოკრუგებისა და უჩასტკების ნაჩალნიკებს, რომ ისინი ტკბილათ ექცეოდნენ ხალხსა და ყურადღებით მოუსმენდნენ ყოველს იმათს თხოვნას და გაჭირებას; იმათ უნდა შეატყობინონ ყოველივე ხალხის თხოვნა და გაჭირება ბათომის ღუბერნატორ-ფაშას, რომ იმან იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან და დააკმაყოფილოს ხალხის სამართლიანი თხოვნა".

ეს აზრები რომ ადგილობრივი მთავრობა ყველგან და ყველას ტკბილათ უნდა ეპყრობოდეს, ეს საყოველთაოვო კანონია და ადათი. მაგრამ საკუთარი მნიშვნელობა იმიტომა აქვს ბათომის მაზრაში, რომ იქ დანიშნულ მოხელეებმა (ჩინოვნიკებმა) განსხვავებული ყურადღება მიაქციონ.

ახალ შეძენილს ქვეყნებში ხალხმა ბევრი ჩვენი ადათი არ იცის და არც ეხლანდელმა სამსახურის კაცებმა იციან იმათი ადათი. ჩვენში სამსახურის კაცმა, მოსამართლემ მოჩივარი კაცი მდგომარეთ რომ მიიღოს დაუჯდომელათ მოუსმინოს საჩივარი ან თხოვნა, ეს არაფერია. მაგრამ ქობულელ-აჭარელს ადათათა აქვს მოსამართლე მძიმეთ დაჯდეს, გულ-დამშვიდებით მოუსმინოს, გამოჰკითხოს დარბაისლურად, ტკბილათ, დააშვიდოს აჩქარებულ გულზე და პასუხი ისე მშვიდად მისცეს. ეს ცხადიც არის. ახალ მოსამართლეებს და მმართველს, სამსახურის კაცს ჯერ არ იცნობს, რუსეთის წესები და ადათები არ იცის, ეშინიან არა დააკლოს-რა თავის საჩივარს და სათხოვარს; სურვილი აქვს რომ მოხელემ კარგა ყოველივე გაიგოს იმისი საჭიროება, გამოჰკითხოს დაწვრილებით და გულის შემატკივრობით. ცხადი საქმეა რომ თუ სახელმწიფო მოხელე ტკბილათ არ დაჯდა და არ მოუსმინა, არ გამოჰკითხა და არ გაიგო, ხალხი უკმაყოფილოდ დარჩება. მოკლეთ გამოკითხვა ნახევრად საქმის მოსმენა ძალიანა სწყინთ ჩვენ ახალ შეძენილ ძმებსა და სადაც ამისთანა შემთხვევას ხვდებიან, ძალიან გულ-ნაკლულათ რჩებიან.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ბათომის მაზრის ხალხი ძალიან გულ-ჩვილი ხალხია როგორც გურულები. ბევრჯელ თითონაც რომ არ უნდოდეთ, მოსამართლის და სამსახურის კაცის ცხვირის დაშვება, ამაყური მკვახე შეხედულობა, ამაღლებული ხმა, გულს უბრუნებს ქობულეთელს ან აჭარელს. გულ-ჩვილობასთან ჩვენ მოძმეებს ისევე შერჩენიათ მამა-პაპური ჩვენი დარბაისლური თავაზა ერთმანერთთან და სახელმწიფო მოხელე კაცთან. თითონაც ზრდილები არიან და სხვისაგანაც ზრდილობას, დარბაისლობას მოელიან.

ძალიან ბევრი რამ კეთილი შეიძ-

## ფელეტონი

—

### მოხევეები და იმათი ცხოვრება*)

### VIII

მოხევეებში ქალი სრულებით სხვა მდგომარეობაში არის, ვიდრე იმრგვლივ მყოფ მეზობელ ხალხში. აქ ქალი არც ისე დამალული და საქმეში მონაწილეობა მიუღებელი რჩება, როგორც ოსებსა და ჩერქეზებში და არც იმგვარი გამაქალბატონებელი მდგომარეობა აქვს, როგორც ქართლში, მოხევის ქალი ქმარს ვერ გაუზავნის წყლის მოსატანათ, თუნდა როგორიც ავი დარი იყოს... მასხარათაც-კი აიგდებდა იმ კაცს, რომელსაც თავში მოუვიდოდა ტუჯის**) ზურგზედ აკიდება და წყლის ამ სახით მოტანა. არა მოხევის ქალი ამ შრომას არავის დაანებებს, ამიტომ, რომ ეს საქმე იმათთვის დროს გასატარებელია. დილა-საღამოზედ ისინი შეიყრებიან ერთად ჩამოივლიან წყალზედ, მუსაიფობენ ერთმანერთში და ატყობინებენ ერთი მეორეს თავის გულის მოძრაობას. ამავე დროს

*) იხილე № 162 „დროებისა".

**) ტუჯა—ქვევრი, რომლებშიაც ოთხ ვედრამდის ჩადის წყალი.

შემთხვევა აქვს, თავის სანატრელს ბიჭას*) გახედოს, რომელიც უეჭველათ წინ დაუხვდება სადმე, ჩაუცინონ ერთმანეთს და ჩაუკრინტონ თვალი, რადგანაც ლაპარაკის გაბედა ერთმანერთთან დიდი სირცხვილია. ამის გარედ რაც-კი სამუშაო არის, ისინი ყველაფერ კაცებთან ერთად მუშაობენ და საქმეში მხარს უჭერენ იმათ. მოხევე დედა-კაცი, კაცებთან ერთად ხნამს, სთესამს, მკის, სთიბამს, ჩამოაქვს, ზურგით თივა მთიდგან, ეზიდება ეკალს ზრუგითვე და ყველა ამას, თუ არ კაცებზედ უკეთესად, უარესად არ ასრულებენ. ამის გარეთ, იმისი მოვალეობა არის შინა საქმე როგორც მაგალითად: პურის ცხობა, საჭმლების კეთება და ტარაველის კერვა კაცებისათვის.

ქალს, არავითარი წილი არ ეძლევა მამის სახლიდგან და კაცს რომ ქალის მეტი არა ჰყავდეს-რა, იმისი სარჩო საბადებელი ისევ შორიულს ნათესავს დარჩება, სანამ ქალსა. ქვრივიც ამავე მდგომარეობაში არის და თუ გასვლა მოიწადინა ქმრის სახლიდგან ეძლევა მხოლოდ წელიწადში 12 კოდი ქერი, ერთი ურემი შეშა, მარილი 10 გირ. ძროხა უნდა ჰყავდეს უკვდავათ და ამის მეტი არაფერი. ქვრივის გათხოვება არ შეუძლიან და თუ გათხოვდა, მაშინ წინა ქმრის სახლობა მტრათ ჩამოეკიდება ახალი ქმრის სახლობას და სანამ ქვრივი სახვეწრათ არ მოვა, წინა ქმრის სახლში, სანამ კარგს პატივს არ მოუტანს, იმათ სადაც შეხვდებიან, ეს ორი გვარეულობა, უჩხუბრად ძნელად გადარჩებიან ერთმანერთს.

*) ბიჭას უმაწვილ კაცს ეძახიან, რომელიც მოსწონსთ.

სახლში რიგის მიცემა ან უფროს დედა-კაცზედ არის მივარდნილი და ან იმისთანა რძალზედ, რომელმაც თავი გამოიჩინა სახლში რითიმე. საზოგადოთ ვინც რიგის მიმცემია იმას ეძახიან დიასახლისს და იმას აბარია ყოველის ფერი დაწყობილი ფქვილიდგან, ვიდრე უბრალო ქატომდინ. ესევე დიასახლისი აძლევს განკარგულებას მომრიგე რძლებს, რომლებიც რიგ-რიგათ აცხობენ პურს, ეზიდებიან წყალს და [illegible] ხვა. შინაურს საქმეს აკეთებენ, ძნელად შესაძლებელია, რომ დიასახლისის წინააღმდეგობა გასწიოს ვინმე და თუნდა, რომელიმე რძალმა ეს კიდეც მოიწადინოს, მაინც ჯალაბობა ნებას არ მისცემს. მაგრამ, რასაც-კი ახალ საქმეს დაიწყობენ, ყველა ამ სახლის რძალსა თუ ქალსა, მამასა, თუ შვილებს ყველას ერთ გვარი ხმა აქვსთ და საერთო რჩევისა და გარდაწყვეტის შემდეგ დაიჭერენ იმ საქმეს.

ქალს გათხოვებაში, არამც თუ არა მიაქვს-რა მამის სახლიდან, პირიქით სასიძოს მოაქვს კიდევ ურვათი, რომელიც უწინ ორმოც თუმნამდინაც ადიოდა და ეხლა კი თემის გადაწყვეტილებით, ხუთს თუმანზედ ჩამოვიდა. საზოგადოთ, რაკი ბაში შეიქნება თხუთმეტის წლისა, ის დაიწყებს ხატობებში სიარულს და იქ თავის ნათესავების შემწეობით ეძებს საცოლეთ ქალს, რომელიც რამწამს შეხვდება და მოეწონება შეატყობინებს იმ ნათესავს და ეს კი დედ-მამას, რომლებიც მაშინათვე გაუგზავნიან შუაკაცებს ქალის სახლს. იქ ისინი მოილაპარაკებენ, ეტყვიან და პირველი დედ-მამის პასუხი უეჭველად უარი იქნება თუნდა თითონ დედ-მამას გულითაც უნდოდესთ მთხოვნელზედ თავის ქალის გათხოვება. რამდენიმე, ამისთანა მისვლა-მოსვლის შემდევ, დედ-მამა მისცემენ ნებას და შუაკაცები დაბრუნდებიან გახარებულები. ორი დღის შემდეგ წაიყვანენ შუაკაცები დედას, თან წაიღებენ ერთს ბოთლს არაყს და სამი მანეთიდგან—

ლება გაკეთდეს ტკბილათ მოპყრობით ხალხთან. ამიტომ ეს სახალხოთ გამოცხადებული სიტყვა გუბერნატორისა ყველა ბოხელეებმა, მუხთარებმა მუდირებმა (უჩასტკის ნაჩალნიკებმა) და ოკრუჟნი ნაჩალნიკებმა კარგა უნდა შეიგონონ და მიხვდნენ.

ამასთანავე ერთს ვისურვებთ რომ ეს განცხადების აზრი, როგორც სხვა აზრები საზოგადოთ ყოველ კუთხეში მოეფინოს. ამისათვის მარტო განცხადების გაკვრა ჯამეს (მეჩითის) კარებთან არ კმარა; ბევრგან კითხვა არ იციან და საჭიროა რომ უჩასტკის ნაჩალნიკებმა განცხადების გაგზავნასთან ბრძანება მისცენ თავის ხელქვეითებს რომ წაუკითხონ ხალხსა. ამას გარდა სასურველია რომ განცხადება მარტო აჭარა-ლიევანაში, შავშეთ-იმერხევში და მურღულში კი არა, ქობულეთშიცა, მაჭახელაშიცდა სუყოველგან, ბათომის ყოველ კუთხეებშიც გავრცელდეს და წაკითხულ იქნეს.

## ახალი ამბები

ამ უკანასკნელ წლებში როგორც ყველაფერს ფასი მოემატა, სახლებსაც ქირა მოემატა. ამის გამო ჩვენს ქალაქში ყველგან რომელ ქუჩაშიაც გაიაროთ, ან ახალ სახლებს აშენებენ, ან ძველის გადაკეთებას შესდგომიან. ყველგან დიდ გასაქირავებელ სახლს აკეთებენ, სულ უკანასკნელს ორ ოთახიანზე (თავის სამზარეულოთი) ნაკლებს ვერა ნახავთ. ამის გამო ხელოსანი და ღარიბი ხალხი თითო ოთახში მცხოვრებელი დისდ გაჭირებაში და განწირულებაშია; არ იცის რა ქნას. დაობებულ ნამიანს და მყრალს სარდაფს გაჯით გაგლესილს სახლის პატრონები ხუთ-ექვს მანეთზე ნაკლებ არ იძლევიან. ვაჭრებზე უფრო უსვინიდისობა სახლის პატრონებს დაუწყვიათ. ამ უსვინიდისობასთან ჭკუაც კი ვამოლევიათ: ორ ორ ოთახს რომელსაც ფიცრის ან იქათილის ბრიყული სამზარეულო აქვს ორ თუმნათ და სამ თუმნათ აფასებენ, ნახევარ წლობით კი ცარიელები უგრდიათ და ამის გამო ზამთარს აქეთ მრავალი სახლი ცარიელები გდია. ამ უსვინიდისობას და ჭკუის გამოცლას კიდევ ერთი უგუნურება ერთობა: ორ ოთახიან სახლს და სამზარეულოს არც განჯინებს უკეთებენ, არც წალოს, არც თაროს, რაო და უნახავთ რომ დიდ სახლებს ექვს შვიდ ოთახიანს, სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და სარდაფით მოწყობილს წალოები და განჯინები არა აქვს.

* * *

ჩვენ გვწერენ სურამიდამ:

„კარგა ხანია დატრიალდა ზემო-ქართლში ნამგალი და მასთანავე შემოესმა მინდვრებიდან სასიამოვნოთ სასმენი „ჰოპუნას“ ხმა. საითაც მიიხედავთ, თითქმის ყველგან ძირს დაშვებული წევს ანუ ძნებათ სდგას „ოქროს“ ყანები.

„აგერ სოფლებშიაც ბევრგან ლეწვა გახშირდა, გახშირა ლეწვა და დაიწყო პურის ფასმაც დაკლება. იმედია, სხვა ხორაგეულის ფასიც ნელ-ნელა დაიწევს ღვთის მადლით, ცოტათი მაინც გაუადვილდება შევიწროებულს ხალხს ცხოვრება.

„მოსავალი წელს შარშანდელზედ უხვია და ამიტომაც გლეხის სიმღერას უფრო მეტი სიხარული ეტყობა შარშანდელზედ.

მშვენიერი სურათია: წელ-მოხრილ გლეხის თვალ-წინ იმის ნამგალს ემონება და ძირს წვება მძიმეთ გაჭიკნილი პურის მარცვლით თავ-თავები: თავს აილებს, იმის თვალ-წინ ისახებიან თვალ-გადუწვდენელი სიმინდის ყანები, რომელნიც იმას წელს აგრეთვე უხვ მოსავალს უქადიან.

„ამასთანავე გახშირდნენ კალოებზედ „კაცი ჭამიები“, საითაც არ მიიხედამთ, ცარიელი ტომრებით დატვირთული ცხენებით მიექანებიან, რათა მოჰკრიფონ ხარჯი გლეხებიდგან.

ეს „კაცი-ჭამიები“ მეფობენ სურამში და ბედსა ამათ არ შეჰყებს ძალი: პური მუქთათ, ღვინო მუქთათ, მოტანა მუქათ, წაღება მუქთათ! ამათი ჯაფა მხოლოდ ის არის, ჩამოჯდნენ ამძალებულს დუქნების წინ და მოსულს იმათთან, გაჭირების გამო, გლეხს თვალები აუხვიონ, რის შემდეგი ის არის, რომ გლეხი შვილისშვილამდინ ამ ვაჭრების მონანი არიან.

თითქო არ იყვეს ქვეყანაზედ ამ უბედური და დამღუპავი საქის მოსასპობელი საშუალება!

„ეს დალოცვილი „კაცი-ჭამიებიც“ სიკვდილს აღარ ფიქრობენ! ამათი ფიქრი და კვნესა მხოლოთ ის არის, როგორმე ძიელ მოატყუონ უგუნური და ბრმა მოძმე თვისი...

„მშვენიერ სურათ წარმოადგენს ზაფხულობით სურამი: გრილი ჰავის მოწყალებით, აქ მრავალი გარეშე ხალხი მოდის. სხვათა შორის აქ ყოველ ზაფხულობით მსროლელი ბატალიონის ჯარი და ქართული მილიცია სდგას. ამათი კარავები მუდამ თოფის გრიალი ნიშანში სასიამოვნო შეხედულობას აძლევენ სურამ.

„საღამოობით ქუჩები აყვავებულია სხვა და სხვა ფრათ ზიზილ-პიპილებით, მორთული ხალხით. ამ მოსეირნე ხილხის უმრავლესობას რასაკვირველია შეადგენენ ჯაჭვით წელზედ კუდ შებმულები ანუ სწორეთ ვსთქვათ „გამოწლული შამაიები“. საითაც არა მგონია, ესენი მიცუნცულებენ, ახლა ამათ შუა წარმოიდგინეთ გახურებული მარსები.

## „დროების“ კორრესპონდენცია

აჭარიდამ. 29 ივლისს. ყოვლად მოულოდნელათ შევხვდი ზოგიერთა მეჩითის კედლებზე აკრულ შემდეგ განცხადებას—ქართულ ენაზე დაბეჭდილს და სახელმწიფო ბეჭედ დასმულს, ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი კამაროვისაგან *).

ჩვენის მთავრობისაგან ამ ნაირი აზრის ხალხისათვის გარდაცემა, არა თუ ახლა, არამედ დიდი ხანია საჭირო იყო...

საყურადღებო და სრული მადლობისა და თანაგრძნობის ღირსია, ბ. ბათუმის ღუბერნატორი ამ განცხადების გამოცემისათვის; მაგრამ თუ ამ ნაირი

*) ეს განცხადება ბათუმის ღუბერნატორისა № 165-ში იყო დაბეჭდილი.

---

ხუთს მანეთამდინ ფულს. ეს გახლავსთ ნიშანი. ქალის სახლობა გაუკეთებს ვახშამს და ამ გვარად მარტონი შინაურულად ატარებენ დროს და სარძლო „ქალაშავასაც“ შეატყობინებენ იმ ბედნიერებაზედ, რომელიც მოელის. დაზდებენ პირობას, თუ როდის შეიძლება ქალის მომზადება და მიცემა, რათა სასიძოს სახლიც მოემზადოს და დაიშლებიან.

რამოდენიმე ხნის შემდგომ, სიძეს გაისტუმრებენ „სასიძოთ“ ქალის სახლში, და ამან უნდა მიუტანოს ქალის სახლს არაყი, ფუნთუშები *) და ორი კარგი ცხვარი, რომელსაც ისინი მაშინათვე დაჰკლამენ, მოამზადებენ ვახშამს და მოიწვევენ მამის ძმებს, სახლი-კაცობას და ვახშამზედ გამოაცხადებენ ყველასათვის სასიამოვნო ამბავს. მეორე დღეს ვინც სასიძოს მოჰყვა, ის დაბრუნდება თავის სახლში და სასიძო-კი აქ დარჩება რათა ცოტაც არის შეეჩვიოს თავის საცოლეს, მაგრამ ვაი იმ შეჩვევას! ის ვერ გასცემს იმას ხმას, საცოლე ემალება, დარბის მეზობლებისას, იმ ხნის განმავლობაში, სანამ სასიძო საცოლის სახლშია; თუ სასიძომ თავის საცოლეს მარტოკას სადმე, ბნელა კუნჭულში, მოასწრო და უმჭკინა დიდს ბედნიერად ჩასთვლის თავის თავს და თუ კოცნა მოახერხა როგორმე, იმის სიხარულს, ხომ წრე აღარა ექნება! ქალი ემალება, ებუზღუნება, სცემს მკლავით და იმათი ყველა შეხვედრა სახლობაში, ამითი თავდება. თუ მოიმწყვდია სადმე საქმრომ ქალი, ის მაშინვე შესძახებს: —„მარი დაგიბრმა თოლი“. *) და გიექცევა. ასე ატარებს სასიძო ქალის სახლში დროს, თუმცა-კი თან-და-თან ეჩვევა იმ აზრს, რომ ესენი უნდა შეიქნენ იმისთვის ყველა ნათესაობაზედ დაახლოვებულნი. ატარებს თვე, ორი თვე, ხანდისხან სამ თვეც საცოლის სახლობაში და იქ ისე მუშაობს, როგორც უკანასკნელი მოჯამაგირე. როდესაც გამოივლის ამ ტანჯვით სავსე ცხოვრებას, სასიძო ბრუნდება თავის სახლში და მოულოდნელათ მოელის ქორწილის დღეს, როდესაც შეეძლება ალერსით გადაუხადოს თავის ტანჯვისათვის, იმ ქალს, ვინც იმის სანატრელად შეიქნა.

მამის სახლი შეუდგება ქორწილისთვის მზადებას და ყმაწვილი-ქალები კი სარძლოს წაიყვანენ სოფელ-სოფელ საწვრიმანოს მოსაკრეფათ, ე. ი. სადაც მივა პატარძალი ყველამ რამე უნდა აჩუქოს. ზოგმა ძაფი, ზოგმა ნემსი, ზოგმაც ნაკუწები და ზოგმა ფული. ასე მოუგროვდება მომავალ პატარძალს მასალა, რომლიდგანაც აჩუქრებს აკეთებს მამათილისა და მაზლებისათვის. თუ კარგი შეძლებულია თავის ხელით ტანისამოსაც-კი უკერავს იმათ.

ბოლოს ერთი თვე დარჩება თუ მომეტებული ქორწილის დღემდინ, ისე ჩააბარებენ ურვათს *) და ამ დღიდგან მოჰყვებიან ქალის მზადებას, რომლისაც უეჭველათ მზითევში უნდა გაჰყვეს, ერთი სკივრი, სამი ხელი ტანისამოსი, ერთი ხელი ქვეშსაგები და ერთი ნაბადი; თუ შეძლებული იქნა ვინმე კიდევ სპილენძეულობას გაატანს, თუ არა და ამით უნდა დაკმაყოფილდნენ როგორც ქალი ისე იმისი ქმარი.

ქორწილის წინა დღით სიძემ უნდა გაუგზავნოს ცოლეურთ ორი საკლავი, რომელსაც ხატი ცხვრები ჰქვიან და უნდა უეჭველად ქორწილის ღამეს დაკლან ესენი. ამასაც მიაყოლებს ორ ვედრა არაყს და გათავდება სიძის მთელი გადასახადი.

ერთსავე და იმავე ღამეს, როდესაც ჯვარის წერა არის დანიშნული, ვახშამს აკეთებს, როგორც სასიძოს, ისე სასძლოს სახლობა და ორივე ქორწილსა ხდილობს.

სიძეს მორთავენ, უეჭველათ შემოაკვრენ ხმალს და გაისტუმრებენ ქალის სახლში ჯვარის დასაწერათ. იმას თან გაჰყვებიან მაყრები, რომელთა შორის პირველი ალაგი მეჯვარეს უჭირავს, მემრე მოჰყვება მეგოდრე ანუ მახარობელი, წინ დამჩოქე, მეფის მაყარი და დანარჩენნი კი ისე უბრალო მაყრები არიან. ამ რიგათ მივლენ ქალის სახლში, სადაც მთელი სოფელი არის შეყრილი; სჭამენ პურსა და მემრე ნეფე-პატარძალს ჩაიყვანენ საყდარში. რასაკვირველია, საყდრის კარი დაკეტილი დახვდებათ და სანამ მღვდლისა და დიაკვნის გულს კარგათ არ შეიჯერებენ ეს ხალხი კანკალებენ სიცივეზედ კარში. გაიმართება ერთი ვაჭრობა თითქის მიკიტანხანა იყოსო და როდესაც ვაჭრობა გათავდება და ფულს ჩააბარებენ ღვდელ-დიაკვანს, მაშინ გაეღება საყდრის კარები და გათოშილს ხალხს ძლივს ეღირსება გათბობა, რამდენა-

*) პური ლავაშის მსგავსი.

*) გამიშვი დაგიბრმავდა თვალი.

*) ურვათი არის დანიშნული ფული, რომელიც უნდა გადაიხადოს სასიძომ და მისცეს ქალის სახლს. რადგანაც უწინ ხევში ძალიან ადვილათ შეეძლო ცოლის თავის დანებება, ამისათვის ამ ურვათს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ქალის მამის სახლს, ურვათის აღების შემდეგ ნება აღარა ჰქონდა თავის ქალი არ მიეღოთ და ლუკმა ვისმე ევედრებინა. იმან იცოდა რომ ის თავის მამის სახლში სცხოვრებს, თავის საკუთრებაზედ და არავისთან სასვეწარი არა აქვს. ასევე დაფარული იყო ქვრივი სამშობლოში უბრალო ყვედრებისაგან.

განცხადება დაემგზავსება სხვა ხალხის საკეთილ-დღეო დაწერილ და ჯერაც ხელ-უხლებელ წესებს, მაშინ, ამაღლების შემდგომ „ქრისტე აღდგაო“— თქმას დაემგზავსება. საჭიროა, რომ ამ განცხადებასთან ერთად დაენიშნათ კეთილ-სვინიდისიანი, იმათი ენის მცოდნე პირები, რომ ამათ ყველა სოფლებში საუფლო დღეს, პარასკეობით, მეჩითებთან მოგროვილი ხალხისათვის წაეკითხათ და აეხსნათ შინაარსი განცხადებისა.

ჩვენ არ შევეხებით ყველა თვითეული მუხლის მეტ-ნაკლულევანებას ამ განცხადებისას; მხოლოდ ვისურვებთ მარტო, რომ ყველა, რაც იმაში არის მოხსენებული, კეთილ-სვინიდისიანათ, იმა სიტყვებით გამოთქმულის მიზანისამებრ, შესრულებულიყოს და არ დარჩენილიყოს მარტო ფორმისათვის...

მეცხრე მუხლში მოხსენებულის შესახებ—ყაჩაღების დასჯისათვის, აზრი თუ მარტო ფორმით იქმნება შესრულებული და იმაში სხვა ენერგიული ზომები არ იქმნება ხმარებული, მაშინ დანარჩენ მუხლებში მოხსენებულ სიტყვებს არაფერი მნიშვნელობა არ ექმნება ხალხის თვალში და არც ერთს აღარ შეხედავენ რწმუნების თვალით.

დღეს აქ გამრავლებულს ყაჩაღებისაგან შეწუხებული არიან და მთელი ხალხი ერთ-ხმათ ამაზე უკმაყოფილებას აცხადებს, ადგილობრივ მთავრობის სისუსტეთ მიაჩნიათ და ამბობენ: „არ გვეგონა, თუ ეს მთავრობა ავაზაკებს ვერ აუვიდოდა და მშვიდობიან მცხოვრებლებს მათ დაახაგვრინებდა; ჩვენ გვეგონა, რომ როგორც ზოგიერთი უსამართლოებისაგან განვთავისუფლდებოდით, ისე ავი ყაჩაღი კაცების მტარვალობისაგან განვთავისუფლდებოდითო, მაგრამ, ჩვენდა-სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით ამას ვერ ვხედავთო,—ბოლოს ხანებში უფრო გათამამდნენ ავაზაკები, რადგანაც ერთი მაგალითი ვერ ვნახეთ, რომ ვინმე ავ-კაცობისათვის დასჯილიყოსო. ვაძლევთ ავ-კაცს, ფირალს, გზანიან ბათუმში და მეორე კვირას დაიარაღებული ჩამოვლენ და რაც შეეძლება, აღარ გვზოგავენ, თუ რათ გვიღალატეთო!

ჩვენც ორ ცეცხლ-შუა ვართ დარჩენილი: ფირალი ღამე შიერი სახლში მოგვეჭრება, არ ვაჭამოთ, მოგვკლამენ და თუ ვაჭამეთ, მთავრობა გვემუქრება და მშვიდობიან მცხოვრებლებს გვთხოვს მათს დანაშაულობასო. სხვა მიზეზიც, რომ არ გვქონდეს გადასასახლებლად, მგონი საკმარი ი მიზეზია, რომ ამ ნაირი გატანჯული ცხოვრებიდგან თავები დავიხსნათო.“

ყველა ეს ხალხის საჩივარი საფუძვლიანად უნდა მიგვაჩნდეს მით უმეტეს, რომ ხალხს იარაღი ჩამორთმეული აქვს და არ შეუძლია თავისი-თავის დაცვა, დამცველიც არავინ ჰყავს და მისი მტერი კი ახალი სისტემის იარაღით დაიარაღებული ყოველგან დაჰქროლამ თავისუფლად.

ყოვლად შეუძლებელია, რომ დროებით მაინც ამ ადგილებში ამ ხალხის ამ ნაირი მოქმედება, სულის წესებით ირჩევოდეს. მთის ხალხია, არაფრის მცოდნე ახალის წესების; და ახალი წესების ამასრულებლებიც ამათი ჩვეულების, რიგის, შეხედულების და ცხოვრების უცოდნელები! როგორ გნებავთ, რომ აქ დიდ-დიდი შეცდომები და გაუგებლობა არ მოხდეს?! ჰკლავენ კაცს; მიდის მოხსენება ბათუმში მკვლელობის შესახებ; აქ საქმეები მთელი თვეობით უწარმოებლად რჩება და შემდგომ სწერენ, რომ გათხარონ საფლავი და შეამოწმონ ჭრილობა ან ჰექიმის შესამოწმებლად წარადგინონ. უმადლოდეთ იმას რომ ამ ნაირი ბრძანების მიმღებლები ცოტა მაინც დაახლოებით მცოდნენი არიან ხალხის რჯულისა და შეხედულებისა და უარს სწერენ, რომ ამ ნაირ გაუნათლებელ ხალხში მაგ ნაირი მოქმედება სხვა ნაირ შთაბეჭდილებას მოახდენსო, თორემ თუ ამ ნაირი ბრძანების მიმღები, მომთხოვნებივით ხალხის უცნობი დაუხვდებათ, მაშინ ამის ახსნას მკითხველს მივანდობ, თუ რაც წარმოსდგება იქიდგან.

რაც აჭარის მაზრაში მაზრის უფროსად თ. სამსონ ლორთქიფანიძე დაინიშნა, თითქმის ყოველგან ხალხი კმაყოფილია, რადგანაც ხალხის მშვიდობიანობის დასაცველად სხვა-და-სხვა ღონისძიებაა შემოღებული.

პირველ მოსვლის თანავე იმან დაიარათითქმის ყველა სოფლები და გარდასცა მთავრობის მათდამი კეთილ-ზრუნველობის აზრი და აუხსნა, თუ რა მოელისთ იმათ შემდგომ მშვიდობიანათ ცხოვრებისა, თუ ისინი თავიანთ საქმეებს ენერგილად მოჰკიდებენ ხელს და მშვიდობიანად იცხოვრებენ. ეგრეთვე შეასრულა 120 ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან ყუვე დიდი ხნის აქეთაა შედგენილი ქვეითა სოტნა, რომლებსაც თვითეულს ამაგანს ეძლევა თვეში ათი მანეთი ჯამაგირი და ამათგანი ზოგი საეჭვო ადგილების მცველად დანიშნა გზებში და ზოგთაც აქვს მინდობილი; რომ ყოველ სოფელში დაიარონ და საეჭვო პირები დაიჭირონ; ზოგიერთა სოფლებშიაც მცხოვრებლები, რომელთაც უბრალო საქმისათვის ერთმანერთს შორის უსიამოვნება აქვსთ და ერიდებიან ერთმანერთს, ისინი შეარიგა.

ამ საქმეების შესრულება აქვს მინდობილი ბ. სოლომან ახრახაძეს და დაუთ-ბეგს.

მე თითონ დავესწარი ზოგიერთ სოფლებში ბ. ს. ახრახაძის მოქმედებას; ალტაცებაში მოვყავდი იმის კეთილ-სინიდისიანად საქმეების სისრულეში მოყვანას და მამა-შვილური დარიგების მიცემას; ისე დაწყნარებით უხსნიდა და სთხოვდა, რომ შერიგებულიყვნენ და მადლობელი რჩებონენ. მაგრამ ბ. დაუთ-ბეგის მოქმედებას არაფრათ გვიქებენ, რადგანაც ის თავის მოვალეობას ალა-მაჰმად-ხანების წესებით ასრულებსო; ე. ი. უშვერი სიტყვები და ცემა-ტყეპა სახელმძღვანელო წესათ ჰქონია. ეს მით უმეტეს სამწუხაროთ მიგვაჩნია, რომ აქაური ხალხის თავმოყვარეობა იქამდია მიღწეული, რომ არა თუ ცემა-ტყეპა აიტანოს, არამედ მზად არის, რომ ერთი უბრალო შეურაცხმყოფელი სიტყვის თქმისათვისაც ან მოჰკლას, ან შეაკვდეს.

ზემო მოხსენებულ სოტნაში ბევრი იმისთანა პირები არიან სამსახურში

---

თაც კი ეს შეიძლება იქაურს გაყინულს საყდრებში *) ჯვარის წერის უკან ჩააბარებენ ნეფის მაყარს ქალის მზითევს და წამოვლენ ყველანი—ქალი და საქრმო ურმით, ან მარხილით და დანარჩენები კი ცხენებით მოჯირითობენ და თოფს ისვრიან. როდესაც დაახლოვდებიან თავიანთ სოფელს მეგოდრე დაწინაურდება და გასწევს, მაგრამ ვაი იმისი ბრალი, რადგანაც მთელი სოფლის ყმაწვილი კაცები კარებთან ელიან და რა წამს გამოჩნდება თუ არა ცემას დაუწყებენ ის იძახის:

„მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი...“

იმას კი უწყალოდ სცემენ და სცემენ იქამდინ, სანამ სახლში არ შევარდება და საკიდელს ხელს გაავლებს. ბოლოს დროს გავარდება თოფი, მეორე, მესამე......

ხალხი რომელიც დაპატიჟებულია სასიძოს სახლში, წამოცვივა სიხარულით და მიეგებება მეფე-დედოფალს. იქ დაავდებენ დედოფალს თავის მაყრებით და დალოცვენ. მემრე ყველანი დაბრუნდებიან, ქუდ-მოხდილნი, ხლმებ ამოღებულნი და ისე პატივით

*) საზოგადოთ ჯვარის წერა აღდგომ-ში იციან და ამ ხანში კი ბუნებამ იქ მეტათ გააგება იცის.

და ლხინით მიეგებებიან დედოფალს. იქიდგან წამოიყვანენ მეფე-დედოფალს და ამავე რიგით შემოიყვანენ სახლში, კარებში აჭმევენ თაფლს და კერას სამჯერ შემოატარებენ. ამათ ხმალ-ამოღებული მაყრები მიზდევენ მღერით, დედოფალს და მეფეს დასმენ ხალხში, სანამ სუფრას გაშლიან და სუფრის გაშლის დროს კი დედოფალს ააყენებენ და სენისაკენ გაიყვანენ, ქალები იქ გამართამენ ტაშ-ფანდურას და თამაშობენ. კაცებს, ვისაც თამაშობა უნდა, შეუძლიან მივიდნენ და ითამაშონ, ქალები არ ერიდებიან იმათ და დანარჩენს კაცებს კი გაუშლიან სავროს *) და დაიწყებენ ვახშმის ჭამას, სმაში ჯერ უნცროსები გაუგზავნიან უფროსებს თასს და ეტყვიან სმურს **) მერე უფროსები უნცროსებს, მემრე დიასახლისს. როდესაც გაატარებენ კარგათ დროს, მაშინ ერთი ვინმე წამოდგება, დალოცავს მეფე-დედუფალს, იტყვის იმათგან ახლად ცხოვრების დაწყობაზე და ამ ახალ ცხოვრებაში მეზობლებისაგან შემწევნობაზედ, სიტყვას და ბოლოს დაიძახებს, რომ მე ამდენი და ამდენი შემიწევიაო. ხალხი ერთხმად დაიძახებს: „აშენოს ღმერთმა“ ამის შემდეგ ვინც კი მისულან ქორწილში შეუწევნელად აღარავინ დადგება და ისე ბეჩავი არავინ იქნება, რომ მანეთი მაინც არ შეაწიოს. ასე რიგათ უგროვდება ახალ ჯვარ-დაწერილებს ათი, ოცი და 30 თუმნამდინაც. ეს ფულები სასახლოდ რჩება და ყველანი საერთოდ სარგებლობენ.

*) სავრო—გრძელი სკამი უზურგო.

**) სმური—ლექსით ქების შესხმა.

ჯვარის წერის შემდეგ, იმ წლის პატარ-ძლები გააკეთებენ ხაბიზგინებს, კაპარს *) და გაიყვანენ წყაზედ ახალ პატარ-რძალს, სადაც პირველად ტაგანას აჰკიდებენ და ისე სიმღერით მოიყვანენ შინ. ამ დღიდგან ისიც დაიწყობს ისე მუშაობას, როგორც სხვა რძლები და იმ ოჯახის დედაკაცები. ამ დღიდგან ის ხატობებში და მკვდარზე სატირლად-ღა თუ გავა სადმე, თორემ ხალხსა და მუშაობას ვეღარ მოშორდება. და ამასთან უნდა დაუმატოთ, რომ საზოგადოთ, მთაში ძალიან ლამაზი ქალები არიან, მშვენიერად მოყვანილი, ტანადნი და იმ გვარის თვალებით, რომელშიაც თითქო ერბო გადაგიზათ და ბჭყინამსო. მშვენიერი გძელი თმები, თეთრ-წითურნი და ძალიან მხიარულნი. პატიოსნება მოხევის ქალებისა მართლა გასაშტერებელია და ძნელად მოხდება, რომ უნამუსობით სახელი ვინმემ გაიფუჭოს, სალექსოთ გახდეს და ვირზედ შესმული მამის სახლს დააბრუნონ. მარდნი მოთამაშენი, მომღერალნი, კაცს თითქოს რაღაცა იმედს აძლევს იმათ ჩქარ დამორჩილებაზედ, მაგრა რამ წამს იმათ პატიოსნებას შეეხები ისენი გარეულს ჯიხვსავით გაზნედ გაგიხტებიან და დაგაგდებენ მარტო შენს ოცნებობასთან. მაგრამ თუ როგორმე იღბალმა გაგიჭრა, შეუყვარდი მოხევის ქალს, მაშინ იმას უყვარხარ სულით და გულით, ისე აღარაფერს იშურებს შენთვის და თავის-თავს მსხვერპლად გაძლევს.

*) კაპარი—სასმელია.

აი ეს გახლავან ის გარეგანი და ბრიყვი ხალხის ქალების ცხოვრება, რომელიც ჩვენ ყურადღების ღირსად არ მიგვაჩნია, მაგრამ, რომლებსაც კი სვინიდისიანად და ერთგულად შეუნახამთ ძველადგანვე ქართველური პატიოსნება და არც მახოხის სახელი დაივიწყებიათ, როგორც ჩვენს რუსინკა ბარიშნებს, რომელთაც მთელი საათი უნდებათ რომ მოიგონონ: „ლობიო რა ხილია, ან რომელი ქვეყნის ხალხი სჭამს იმას.“

ა. მოხხუბარიძე.

(გაგრძელება)

ზაფთიებად, რომლებსაც მხოლოდ ლუკმა პურის უშოვნელობა მიზეზს აძლევდა ყაჩაღათ გავარდნისათვის; მხოლოთ დღეს თ. ლორთქიფანიძის ამ ნაირი განკარგულების წყალობით ლუკმა პურს შოულობენ და ამითიც შესაძლებელია მოისპოს გახშირებული ყაჩაღობა.

რამდენათაც შევიტყე, ხალხს უთხოვნია მთავრობისთვის, რომ ოსების მაგიერათაც ადგილობრივი ხალხი იყოს დანიშნული და ამის წყალობით ბევრი ულუკმო-პურო ხალხი ერთი ლუკმა პურის თავის შრომით შოვნის ღირსი გამხდარიყნენ, და დაჰპირებიან მთავრობას რომ მომავალში თუ რაიმე ავაზაკობა მოხდება, ჩვენი სიცოცხლით და საქონლით პასუხის მგებელნი ვიქნებითო. სამწუხაროთ ხალხის ამ ნაირი კანონიერი და საფუძვლიანი თხოვნა ჯერჯერობით უყურადღებოთ დარჩენილა.

ჩვენს მთავრობას, ხალხის ამ ნაირი თხოვნა მით უმეტესათ უნდა ეცნა საფუძვლიან და საყურადღებო თხოვნათ, რომ მათ მოხსენდა უკვე ოსების მხეცური მოქმედება.

ბოროტი ენების მეტი არავინ იტყვის, რომ ჩვენ მთავრობას არ უნდოდეს ხალხში უსაფუძვლო გავრცელებული ხმა გააცრუოს და მოსპოს, რომ „ვითომც ჩვენ, შემდეგში ამათ სახლებში ძალათ შეუცვინდებით და იმათ პატრონებას და ქალებს შეურაცხყოფას მივაყენებთ.“

სულით და გულით სანატრელია, რომ, ხალხში ამ ნაირი უსაფუძვლო ხმების მოსასპობლათ, დამნაშავები სამაგალითოთ იყვნენ დასჯილნი და ჰღირსებოდესთ არა თუ ერთს და ორს, არამედ ყოველგან ღირსეული მოსამართლეები და ამათი წესის და რიგის მცოდნენი.

შენებურათ გაგეცინებათ, როდესაც შეხვდებით ზოგიერთ უხიაკ პირებს რომელნიც სხვათა შორის გეუბნებიან:

“ძიავ, კი ვიცით, რომ ურუსის ხოქუმათს ბევრი კაი ზაბითები ჰყავს, მაგრამ გავს ბერლინის შურუთმა დაგვმართა ამ ნაირი დასამართი, ძიავ, რომ სამ წლამდი ჩვენ კაი ზაბითები არ უნდა გვყავდეს და ბაბუა ჩემის ჰექიის (ზღაპრის) მცოდნე კაცები იქმნებიან ჩვენი ბატონები?!..“

კრაზახა.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** სტამბოლიდამ ვენის გაზეთს *Presse*-ს სწერენ: აბბედინ-ფაშის სიძე ქიასიმ-ბეგი საყურადღებო მინდობილობით გაგზავნეს პრევაზაში ალბანიის კავშირის წევრებთან მოსალაპარაკებლად: იმას თან მიაქვს 20,000 ოსმალოს ლირი ნაღდ ფულად და 40,000 ლირის ვექსილი. ამ თანხით უნდა მოახერხონ, რომ ალბანიელებმა წინა აღმდეგობა გაუწიონ ევროპის სახელმწიფოთა განაჩენს.

რამდენიმე დღის წინედ პორტამა გაგზავნა 25,000 სამხედრო ტან-საცმელი და სულ ყველაფერი რაც კი საომრისთვის მოსაწყობად საჭიროა. ქარხნებში კიდევ ამზადებენ 5,000 წყვილს ტანსაცმელს და 19,000 წყ. ჩექმებს: აქედამ შესაძლებელია კაცმა დასკვნას რომ თესალიასა და ალბანიაში ოსმალოს მხედრობის რიცხვი 30,000 მდეა.

ევროპის ოსმალეთში სულ 120 თაბორია მხედრობისა. თითო თაბორში 800 კაცია, მაშასადამე სულ 96,000 მდე მხედარი ყოფილა. ამ ჯარის შენახვას ოსმალეთი თავის უკანასკნელს შეძლებას ახმარებს, ამბობს დასასრულს კორრესპოდენტი.

—

შერბურგის ქალაქის მმართველობის დარბაზში სადილი გაუკეთებია რესპუბლიკის პრეზიდენტეს, რომელზედაც მრავალი საპატიო სტუმრები დასწრებია. ამ სადილზე ოთხი სადღეგრძელო დაულევიათ. თვითონ გრევის სადღეგრძელოს წინად წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი უთქვამს:

„თავ-მოწონებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ფლოტი არ გაექცევა არც ერთ ფლოტთან შედარებას; მაგრამ მას ახლა ზღვის მასალები, რომლითაც შეუძლიათ უზრუნველი ყოფა საფრანგეთის ძლიერების, რომელიც წარმოსდგება რესპუბლიკის ღეოღრაფიულის მდებარეობიდამ და იმ ადგილისაგან, რომელიც მას უჭირავს ქვეყნიერებაზე. ამიტომაც საჭიროა ჩვენი ფლოტის და ნავსადგურების გაუმჯობესობას შევუდგეთ.

საფრანგეთს ისე უყვარს თავის ფლოტი, როგორც თავის ხმელეთის მხედრობა, რადგანაც ერთიც მეორესავით საჭიროა.“

—

პარიჟიდას გაუძევიათ გაზეთის „*Triboulet*“-ის რედაქტორი ბ. სენ-პატრისი, რომელსაც დაუწესებია „შავი თანხა, რომლითაც უნდა დახმარებოდა გრაფ შამბორის საფრანგეთის სამეფო ტახტზე ასვლას.


# განცხადებანი

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—5)

**ჯანჯულაზოვების** დიდს მაღაზიაში საქონლის გასყიდვა კიდევ არ გათავებულა; მუდამ დღე არის ვაჭრობა დილის 9 საათიდამ ვიდრე 12-მდინ, თვითონ მაღაზიაში და იმის ეზოში, მუხრანსკის სახლებში.

(4—4)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confianse*

შეკერილი წვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსხმულის ნაის—1 მ. 40 კ

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—6)

## შემთხვევით ისყიდება

# ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო პრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიშინსკის, ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—6)

## შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მაეთად ღირს.

(100—24)

# კანტორა

ოდესის ვაჭრის

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომისიით ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმამოდგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტების ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისა მაღაზიაში.

(40—30)

## პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—37)

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—28)

# გაყიდვა

სხვა-და-სხვა ხარისხის ფქვილისა

ოდესის საორთქლო წისქვილიდამ

# ძმათა ანატრათა

საწყობი იმყოფება:

1) პოპოვის სახლში № 13, ავჭალის ქუჩაზე.

2) თამამშევის სახლში ბარონის ქუჩაზე.

(3—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი